

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	5
2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4. საოპერაციო შემოსავალი	13
5. საოპერაციო ხარჯები	13
6. ფინანსური ხარჯი, წმინდა	13
7. სხვა შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	13
8. ძირითადი საშუალებები	14
9. ბიზნეს კომბინაციები და გუდვილი	15
10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	16
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
14. მიღებული სესხები	17
15. ფინანსური რისკების მართვა	18
16. დაკავშირებული მხარეები	21
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	21
მმართველობის ანგარიშგება	22-25

შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“
მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ (ს/ნ 203826645) და მისი შვილობილი
კომპანიების 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების
აუდიტის შედეგების შესახებ

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ და მისი შვილობილი კომპანიების
(ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც
შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის
კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების
კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო
პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა
არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის
კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე,

შპს „აუდიტი და კონტროლი“, ს/ნ 401952856, <http://auditcontroll.com/>; 01067 თბილისი,
დიდშოს მასივი, მე-4 კვარტალი, I ა კორპუსი, ბ. №5, გარიგების პარტნიორი: გია
ტუხაშვილი, რეგისტრირებულია სახელმწიფო რეესტრში: № SARAS-A-469815;
№ SARAS-F-833498, auditori.tukhashvili@gmail.com; ტელ.: 599 54 03 55
პროფესიული პასუხისმგებლობა დაზღვეულია 200.000 ლ.

2
გვერდი

მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ

ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე
გაცემული აუდიტორის დასკვნისა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ
ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით
ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და
განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და სათანადო მარეგულირებელი
ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ
შთაბეჭდილებას, რომ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ
ჩატარებული პროცედურებიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩინეთ, რომ არსებითი
უზუსტობააა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება.
ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

**ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა
პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის
შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს
თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას
ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის
შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს

საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

შპს „აუდიტი და კონტროლი“, ს/ნ 401952856, <http://auditcontroll.com/>; 01067 თბილისი, დიდშის მასივი, მე-4 კვარტალი, I ა კორპუსი, ბ. №5, გარიგების პარტნიორი: გაია ტუხაშვილი, რეგისტრირებულია სახელმწიფო რეესტრში: № SARAS-A-469815; № SARAS-F-833498, auditori.tukhashvili@gmail.com; ტელ.: 599 54 03 55
პროფესიული პასუხისმგებლობა დაზღვეულია 200.000 ლ.

► ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულსხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

► შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

► ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

► დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა,

რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

► მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

► ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს „აუდიტი და კონტროლი“, ს/ნ 401952856, <http://auditcontroll.com/>; 01067 თბილისი, დიდმის მასივი, მე-4 კვარტალი, I ა კორპუსი, ბ. №5, გარიგების პარტნიორი: გაია ტუხაშვილი, რეგისტრირებულია სახელმწიფო რეესტრში: № SARAS-A-469815; № SARAS-F-833498, auditori.tukhashvili@gmail.com; ტელ.: 599 54 03 55
პროფესიული პასუხისმგებლობა დაზღვეულია 200.000 ლ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2024 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

► თანხდენილია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;

► შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია ჩატარებულ აუდიტსა და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში ასახულ მოსაზრებაზე, არის:

გია ტუხაშვილი (SARAS-A-469815)

29 დეკემბერი 2025 წელი

თბილისი, საქართველო

გ. ტუხაშვილი



შპს „აუდიტი და კონტროლი“, ს/ნ 401952856, <http://auditcontroll.com/>; 01067 თბილისი, დიდშის მასივი, მე-4 კვარტალი, I ა კორპუსი, ბ. №5, გარიგების პარტნიორი: გია ტუხაშვილი, რეგისტრირებულია სახელმწიფო რეესტრში: № SARAS-A-469815; № SARAS-F-833498, auditori.tukhashvili@gmail.com; ტელ.: 599 54 03 55
პროფესიული პასუხისმგებლობა დაზღვეულია 200.000 ლ.

8
გვერდი

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	4	24,735	47,659
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(21,299)	(38,203)
საერთო მოგება		3,436	9,456
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(4,084)	(7,280)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	6	(857)	(1,823)
წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოს მოგებაში		-	449
მშობლისთვის შვილობილის და ერთობლივი საწარმოს		-	
მიყიდვიდან წარმოქმნილი ზარალი	1		(12,783)
სხვა შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	7	13	(37)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა		(1)	(8)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(1,493)	(12,026)
მოგების გადასახადი		(2)	(80)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(1,495)	(12,106)
წლის სხვა სრული შემოსავალი	8	1,991	(724)
სულ მთლიანი სრული მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში		496	(12,830)
წლიური მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:			
სათავო საწარმოს მფლობელებისთვის		(1,653)	(13,456)
არამაკონტროლებელი წილისთვის		158	1,350
		(1,495)	(12,106)
წლიური სხვა სრული შემოსავალი განკუთვნილი:			
სათავო საწარმოს მფლობელებისთვის		1,991	(724)
		1,991	(724)
მთლიანი სრული მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:			
სათავო საწარმოს მფლობელებისთვის		338	(14,180)
არამაკონტროლებელი წილისთვის		158	1,350
		496	(12,830)

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 დეკემბერს.

დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	4	24,735	47,659
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(21,299)	(38,203)
საერთო მოგება		3,436	9,456
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(4,084)	(7,280)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	6	(857)	(1,823)
წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოს მოგებაში		-	449
მშობლისთვის შვილობილის და ერთობლივი საწარმოს		-	
მიყიდვიდან წარმოქნილი ზარალი	1		(12,783)
სხვა შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	7	13	(37)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა		(1)	(8)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(1,493)	(12,026)
მოგების გადასახადი		(2)	(80)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(1,495)	(12,106)
წლის სხვა სრული შემოსავალი	8	1,991	(724)
სულ მთლიანი სრული მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში		496	(12,830)
წლიური მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:			
სათავო საწარმოს მფლობელებისთვის		(1,653)	(13,456)
არამაკონტროლებელი წილისთვის		158	1,350
		(1,495)	(12,106)
წლიური სხვა სრული შემოსავალი განკუთვნილი:			
სათავო საწარმოს მფლობელებისთვის		1,991	(724)
		1,991	(724)
მთლიანი სრული მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:			
სათავო საწარმოს მფლობელებისთვის		338	(14,180)
არამაკონტროლებელი წილისთვის		158	1,350
		496	(12,830)

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 დეკემბერს.

დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	19,051	17,787
გუდვილი	9	434	434
სხვა არამატერიალური აქტივები		124	51
ინვესტიცია ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში		51	4
		19,660	18,276
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	1,296	1,281
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	6,542	6,092
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებულ მხარეებს	11	1,902	46
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	75	132
		9,815	7,551
სულ აქტივები		29,475	25,827
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10,866	10,866
გადაფასების რეზერვი	8	11,974	9,983
სხვა რეზერვი		30	30
აკუმულირებული ზარალი		(7,777)	(6,124)
		15,093	14,755
არამაკონტროლებელი წილი		133	275
სულ კაპიტალი		15,226	15,030
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	14	3,863	3,936
		3,863	3,936
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	14	4,918	3,496
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	5,468	3,365
		10,386	6,861
სულ ვალდებულებები		14,249	10,797
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		29,475	25,827

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 დეკემბერს.

დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	19,051	17,787
გუდვილი	9	434	434
სხვა არამატერიალური აქტივები		124	51
ინვესტიცია ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში		51	4
		19,660	18,276
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	1,296	1,281
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	6,542	6,092
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებულ მხარეებს	11	1,902	46
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	75	132
		9,815	7,551
სულ აქტივები		29,475	25,827
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10,866	10,866
გადაფასების რეზერვი	8	11,974	9,983
სხვა რეზერვი		30	30
აკუმულირებული ზარალი		(7,777)	(6,124)
		15,093	14,755
არამაკონტროლებელი წილი		133	275
სულ კაპიტალი		15,226	15,030
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	14	3,863	3,936
		3,863	3,936
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	14	4,918	3,496
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	5,468	3,365
		10,386	6,861
სულ ვალდებულებები		14,249	10,797
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		29,475	25,827

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 დეკემბერს.

დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	სხვა რეზერვი	აკუმულირებული ზარალი	სათავო საწარმოს მფლობელებისთვის განკუთვნილი	არა- მაკონტროლებელი წილი	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,866	20,121	120	(2,202)	28,905	9,824	38,729
წლის წმინდა მოგება	-	-	-	(13,456)	(13,456)	1,350	(12,106)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	(724)	-	-	(724)	-	(724)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(724)	-	(13,456)	(14,180)	1,350	(12,830)
გასვლა შვილობილების და ერთობლივი საწარმოს გაყიდვის გამო (შენიშვნა 1)	-	(9,414)	(120)	9,534	-	(9,982)	(9,982)
არამაკონტროლებელი წილის შესყიდვა (შენიშვნა 1)	-	-	30	-	30	(75)	(45)
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	-	-	(842)	(842)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,866	9,983	30	(6,124)	14,755	275	15,030
წლის წმინდა მოგება	-	-	-	(1,653)	(1,653)	158	(1,495)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	1,991	-	-	1,991	-	1,991
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,991	-	(1,653)	338	158	496
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	-	-	(300)	(300)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,866	11,974	30	(7,777)	15,093	133	15,226

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 დეკემბერს.

დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი

5-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
 კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	სხვა რეზერვი	აკუმულირებული ზარალი	სათავო საწარმოს მფლობელებისთვის განკუთვნილი	არა- მაკონტროლებელი წილი	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,866	20,121	120	(2,202)	28,905	9,824	38,729
წლის წმინდა მოგება	-	-	-	(13,456)	(13,456)	1,350	(12,106)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	(724)	-	-	(724)	-	(724)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(724)	-	(13,456)	(14,180)	1,350	(12,830)
გასვლა შვილობილების და ერთობლივი საწარმოს გაყიდვის გამო (შენიშვნა 1)	-	(9,414)	(120)	9,534	-	(9,982)	(9,982)
არამაკონტროლებელი წილის შესყიდვა (შენიშვნა 1)	-	-	30	-	30	(75)	(45)
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	-	-	(842)	(842)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,866	9,983	30	(6,124)	14,755	275	15,030
წლის წმინდა მოგება	-	-	-	(1,653)	(1,653)	158	(1,495)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	1,991	-	-	1,991	-	1,991
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,991	-	(1,653)	338	158	496
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	-	-	(300)	(300)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,866	11,974	30	(7,777)	15,093	133	15,226

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 დეკემბერს.

დირექტორი
 ირაკლი ფაჩუაშვილი

5-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.


“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/(ზარალი)		(1,495)	(12,106)
კორექტირებები:			
- მოგების გადასახადის ხარჯი		2	80
- ცვეთა და ამორტიზაცია	5	1,021	2,372
- ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	8	29	-
- საპროცენტო ხარჯი	6	910	1,892
- საპროცენტო შემოსავალი	6	(53)	(69)
- მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	5	168	574
- მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა		1	8
- მოგება/(ზარალი) შვილობილების და ერთობლივი საწარმოს გაყიდვიდან, წმინდა	1	-	12,783
- ერთობლივი საწარმოსა და მეკავშირე საწარმოს წილი მოგებაში		-	(449)
- ძირითადი საშუალების ჩამოწერა		(9)	88
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		574	5,173
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		(670)	(2,611)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემცირება/(ზრდა)		(15)	(360)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		2,103	(1,513)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები პროცენტამდე და დაბეგვრამდე		1,992	689
მოგების გადასახადი		(2)	(80)
გადახდილი პროცენტი	14	(808)	(1,848)
მიღებული პროცენტი		53	69
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		1,235	(1,170)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(310)	(2,612)
ძირითადი საშუალებების გასვლა		9	176
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებულ მხარეებს		(5,295)	(1,327)
შემოსავალი დაკავშირებულ მხარეების მოკლევადიანი სესხებიდან		3,491	1,344
არამატერიალური აქტივების შეძენა		(87)	(26)
შემოსულობა წილის გაყიდვიდან, შემცირებული გაყიდვის მომენტში გაყიდული		-	817
შვილობილების ფულადი სახსრების საბალანსო თანხით		-	-
ინვესტიცია ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში		(47)	186
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული/(გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობაში		(2,239)	(1,442)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება	14	18,749	18,775
მიღებული სესხების დაფარვა	14	(17,502)	(17,561)
არამაკონტროლებელი წილის შესყიდვა		-	(45)
დივიდენდების გადახდა არამაკონტროლებლებისთვის		(300)	(842)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული/(გამოყენებული) საფინანსო საქმიანობაში		947	327
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(57)	(2,285)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		-	(11)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	132	2,428
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	75	132

“2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის გაცემული სესხების გაცემასთან და დაფარვასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები, საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებიდან” რეკლასიფიცირდა „საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებში“, იმისათვის რომ შესაბამისობაში ყოფილიყო მიმდინარე პერიოდთან

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 დეკემბრის.

დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი



5-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/(ზარალი)		(1,495)	(12,106)
კორექტირებები:			
- მოგების გადასახადის ხარჯი		2	80
- ცვეთა და ამორტიზაცია	5	1,021	2,372
- ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	8	29	-
- საპროცენტო ხარჯი	6	910	1,892
- საპროცენტო შემოსავალი	6	(53)	(69)
- მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	5	168	574
- მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა		1	8
- მოგება/(ზარალი) შვილობილების და ერთობლივი საწარმოს გაყიდვიდან, წმინდა	1	-	12,783
- ერთობლივი საწარმოსა და მეკავშირე საწარმოს წილი მოგებაში		-	(449)
- ძირითადი საშუალების ჩამოწერა		(9)	88
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		574	5,173
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		(670)	(2,611)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემცირება/(ზრდა)		(15)	(360)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		2,103	(1,513)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები პროცენტამდე და დაბეგვრამდე		1,992	689
მოგების გადასახადი		(2)	(80)
გადახდილი პროცენტი	14	(808)	(1,848)
მიღებული პროცენტი		53	69
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		1,235	(1,170)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(310)	(2,612)
ძირითადი საშუალებების გასვლა		9	176
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებულ მხარეებს		(5,295)	(1,327)
შემოსავალი დაკავშირებულ მხარეების მოკლევადიანი სესხებიდან		3,491	1,344
არამატერიალური აქტივების შეძენა		(87)	(26)
შემოსულობა წილის გაყიდვიდან, შემცირებული გაყიდვის მომენტში გაყიდული		-	817
შვილობილების ფულადი სახსრების საბალანსო თანხით		-	-
ინვესტიცია ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში		(47)	186
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული/(გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობაში		(2,239)	(1,442)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება	14	18,749	18,775
მიღებული სესხების დაფარვა	14	(17,502)	(17,561)
არამაკონტროლებელი წილის შესყიდვა		-	(45)
დივიდენდების გადახდა არამაკონტროლებლებისთვის		(300)	(842)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული/(გამოყენებული) საფინანსო საქმიანობაში		947	327
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(57)	(2,285)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		-	(11)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	132	2,428
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	75	132

“2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის გაცემული სესხების გაცემასთან და დაფარვასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები, „საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებიდან“ რეკლასიფიცირდა „საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებში“, იმისათვის რომ შესაბამისობაში ყოფილიყო მიმდინარე პერიოდთან

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 დეკემბრის.

დირექტორი
ირაკლი ფაჩუაშვილი

1. ძირითადი საქმიანობა

„თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“ („მშობელი“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მშობელი და მისი შვილობილი კომპანიები (შენიშვნა 2.3. კონსოლიდაციის საფუძველი) ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ფართო სპექტრის სტაციონალური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პაციენტებისთვის.

ჯგუფის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, დიღომში, ჩაჩავას ქ. №1.

მშობლის 100%-ს ფლობს შპს „ვივო მედიკალ გრუპი“ („ჯგუფის მშობელი“), რომელსაც 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდნენ:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
შპს პაშა ინვესტმენტი (აზერბაიჯანი)	0%	45.00%
შპს ვივო კაპიტალი	45%	0%
გიორგი ყიფიანი	13.75%	13.75%
ივანე მარტიაშვილი	13.75%	13.75%
მიხეილ გუგუბერიძე	13.75%	13.75%
დავით ფანჯაკიძე	13.75%	13.75%
	100.00%	100.00%

2024 წლის 22 აგვისტოს, პაშა ინვესტმენტმა შპს ვივო მედიკალ გრუპში თავისი 45%-იანი წილი შპს ვივო კაპიტალზე გაყიდა. აღნიშნულმა ტრანზაქციამ შპს ვივო მედიკალის ჯგუფის საკუთრების სტრუქტურაში ცვლილებამ გამოიწვია. შპს ვივო კაპიტალის აქციონერები არიან იგივე ოთხი ფიზიკური პირი, რომლებიც ფლობენ კომპანიის აქციებს, რომელთაგან თითოეულს ჯამში შპს ვივო მედიკალის ჯგუფში 25%-იანი წილი უჭირავს.

ჯგუფი ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს, რომლებიც კონსოლიდირებულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, ყველა მათგანი ფუნქციონირებს თბილისში:

დასახელება	მფლობელობა		საქმიანობა
	2024	2023	
შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“	50%	50%	ლაბორატორია
შპს „თბილისის დიაგნოსტიკური ცენტრი“	100%	100%	დიაგნოსტიკა

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ასე გამოიყურებოდა:

სახელწოდება	საქმიანობის ხასიათი	მფლობელი	საკუთრების წილი	
			31-დეკ-2024	31-დეკ-2023
შპს „ჰოსპიტალ დიღომი“	უძრავი ქონება	შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“	11.45%	11.45%
		შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“		
შპს „ჰოსპიტალ დიღომი ეზო“	უძრავი ქონება	საავადმყოფო	22.04%	22.04%
შპს „ნეიროქირურგიის ეროვნული სამედიცინო კლინიკა (არ შპს „თბილისის ცენტრალური ცენტრი“	ფუნქციონირებს)	საავადმყოფო	50.00%	50.00%

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის), ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

ჯგუფი წარმოადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგებას ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, რადგან თვლის, რომ ანგარიშგების მკითხველს უფრო გამოსადეგ ინფორმაციას აძლევს ეს მეთოდი, ვინაიდან იგი უკეთესად ასახავს თუ როგორ იმართება ოპერაციები ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე / გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია თვითღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. თვითღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ჯგუფის მენეჯმენტმა შეაფასა ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც, ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს ჯგუფის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

2.2. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ახალი და შეცვლილი სტანდარტები

ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. შემდეგი ახალი ან შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები ძალაში 2024 წლის 1 იანვარს შევიდა, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე:

ფასს 16-ის ცვლილება:	საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას;
ცვლილებები ბასს 1-ში:	გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით
ცვლილებები ბასს 1-ში:	ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად;
ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები:	მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები.

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული:

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ.

ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე, თუკი ისინი ჯგუფს მიესადაგება. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 21-ში:	უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებების შედეგები, სახელწოდებით „გაცვლითი შესაძლებლობების ნაკლებობა“
ფასს 18:	ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და განმარტებები
ფასს 19:	შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებები

2.3. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანია იღებს ან აქვს უფლება მიიღოს, ცვლადი უკუგება ინვესტიციის ობიექტისგან და აქვს უნარი, გავლენა მოახდინოს უკუგებაზე ინვესტიციის ობიექტზე ზემოქმედებით.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე (ანუ არსებული უფლებები, რაც მას აძლევს საშუალებას, რომ წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა)
- ▶ ჯგუფი იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტირებულ საწარმოში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტირებულ საწარმოზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა რელევანტურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ ინვესტირებულ საწარმოში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგება/გარიგებები
- ▶ სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

2.4. ინვესტიცია ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში

ჯგუფის წილები ერთობლივ საწარმოებში და მეკავშირე კომპანიებში აღირიცხება წილობრივი მეთოდის გამოყენებით.

წილობრივი მეთოდი გულისხმობს ინვესტიციების თავდაპირველად აღიარებას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას ინვესტირებული საწარმოს ნეტო აქტივებში ინვესტიციის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

2.5. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება შემოსავლის საიმედო შეფასება.

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ, გაწეული ხარჯების იმ მოცულობის ფარგლებში, რომლის ანაზღაურებაც შესაძლებელია. შემოსავალი არის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება, რომელსაც აკლდება მოსალოდნელი დაბრუნება, სავაჭრო ფასდაკლებები და ბრუნვის გადასახადები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფის შემოსავლის უდიდესი ნაწილი წარმოიშობა სამედიცინო მომსახურების გაწევიდან. სამედიცინო მომსახურებების ძირითადი მიმართულებებია:

- ამბულატორიული მომსახურება (ამბულატორია)
- სტაციონარული მომსახურება (ქირურგიული ოპერაციები, ინტენსიური თერაპია, საავადმყოფოში დარჩენა 24 საათზე მეტ ხანს)
- ინ ვიტრო განაყოფიერება (IVF)
- სუროგაცია

ჯგუფი აღრიცხავს ხელშეკრულებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- ხელშეკრულების მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება და მზად არიან შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები
- ჯგუფს შეუძლია მოახდინოს ყველა იმ მხარის მოვალეობის იდენტიფიცირება, რომელსაც მიეწოდება მომსახურება
- ჯგუფს შეუძლია იდენტიფიცირება მოახდინოს გადახდის პირობების, რომელიც დაკავშირებული მომსახურების მიწოდებასთან
- ხელშეკრულებას გააჩნია ეკონომიკური შინაარსი
- მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მოახერხებს იმ თანხების მიღებას, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების მიწოდებასთან.

ამბულატორიული მომსახურება - მისი გაწევა ხდება წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც პაციენტი განაცხადებს მზადყოფნას სამედიცინო მომსახურების მისაღებად. შეთანხმებას ამბულატორიული მომსახურების თაობაზე არ აქვს ვადის ამოწურვის თარიღი. ვინაიდან ამბულატორიული მომსახურების ხანგრძლივობა 24 საათზე ნაკლებია და ითვლება პაციენტისთვის სრულად გაწეულად, ამბულატორიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმავე მონაკვეთში.

სტაციონარული მომსახურება - მისი გაწევა ხდება აგრეთვე წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. სტაციონარული მომსახურების ხანგრძლივობა შეიძლება მერყეობდეს ერთი დღიდან რამდენიმე თვემდე. შემოსავლის აღიარება ხდება პაციენტის საავადმყოფოდან გაწერის მომენტში.

ინ ვიტრო განაყოფიერება - მომსახურების გაწევა ხდება ძირითადად ზეპირ შეთანხმებაზე დაყრდნობით. პაციენტი მკურნალობისთვის მზადყოფნას აცხადებს წერილობით, თუმცა პროცესის განმავლობაში გაწეულ მომსახურებასა და მკურნალობის პერიოდზე ხდება ზეპირი შეთანხმება. გამომდინარე იქიდან, რომ ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესი მოსალოდნელია გაგრძელდეს რამდენიმე თვის განმავლობაში, შემოსავლის აღიარება ხდება დროთა განმავლობაში, შედეგების მეთოდის გამოყენებით შესასრულებელი ვალდებულებების შეფასების გზით, იმ ოდენობით, რომელზეც ჯგუფს აქვს ინვოისის გაცემის უფლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სუროგაცია - მომსახურების გაწევა ხდება წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. გამომდინარე იქიდან, რომ მოსალოდნელია მომსახურების გაწევის პროცესი გაგრძელდეს რამდენიმე თვის განმავლობაში, შემოსავლის აღიარება ხდება დროთა განმავლობაში, შედეგების მეთოდის გამოყენებით შესასრულებელი ვალდებულებების შეფასების გზით, იმ ოდენობით, რომელზეც ჯგუფს აქვს ინვოისის გაცემის უფლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი გამარტივებული მიდგომები:

- ჯგუფი არ აკორექტირებს ანაზღაურების დათქმულ თანხას დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, თუ პერიოდი, როდესაც კომპანია კლიენტს გადასცემს დაპირებულ საქონელს ან უწევს მომსახურებას და როდესაც კლიენტი იხდის თანხას საქონლის ან მომსახურებისთვის, არის ერთი წელი ან უფრო ნაკლები, და

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

- ჯგუფი კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებულ დამატებით დანახარჯებს აღიარებს, როგორც გაწეულ ხარჯს, რომელიც დგება იმ შემთხვევაში, თუ იმ აქტივის ამორტიზაციის პერიოდი, რომელსაც ჯგუფი სხვაგვარად აღიარებდა, წარმოადგენს ერთ წელს ან უფრო ნაკლებს.

2.6. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, გარდა შენობებისა, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შენობები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

თუ აქტივის საბალანსო ღირებულება გაზრდილია გადაფასების შედეგად, ეს ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში გადაფასების რეზერვის სახელწოდებით. მაგრამ აღნიშნული ზრდა (არაუმეტეს ადრე აღიარებული შემცირებისა) აღიარდება მოგება-ზარალში თუ ამ ზრდამდე ადგილი ჰქონდა შემცირებას (ჩამოფასებას), რაც წინა პერიოდებში აღიარებული იყო მოგება-ზარალში.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	ცვეთის მეთოდი
შენობები	2% წრფივად
სამედიცინო აღჭურვილობა	15-40% წრფივად
სხვა	15-40% წრფივად
მიწა	არ იცვითება

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, საბალანსო ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.7. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილი, რომელიც წარმოიქმნება ბიზნეს კომბინაციის შედეგად, თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს გადახდილი ანაზღაურების, შეძენილ საწარმოში არამაკონტროლებელი წილის და შეძენილ საწარმოში მყიდველის წინა სააქციო წილის სამართლიანი ღირებულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამის ნამეტს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების შეძენის თარიღისთვის არსებულ სუფთა თანხაზე. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ბიზნეს კომბინაციის შედეგად მიღებული გუდვილი ფასდება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების ზარალით. გუდვილი არ ამორტიზირდება.

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია ირიცხება მოგება-ზარალზე არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის (7 წელი) განმავლობაში, თუ ეს ვადა არ არის განუსაზღვრელი. ამორტიზაციის პერიოდების და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველწლიურად და კორექტირდება საჭიროების შემთხვევაში.

იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივები, რომლებიც შეძენილია, როგორც ბიზნეს კომბინაციის ნაწილი, თავდაპირველად აღიარდება გუდვილისგან დამოუკიდებლად იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს აქტივი აღიარებული შეძენილი საწარმოს მიერ ბიზნეს კომბინაციამდე. არამატერიალური აქტივი მიიჩნევა იდენტიფიცირებადად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არის დამოუკიდებელი აქტივი, ან წარმოიშობა სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

უფლებებიდან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს უფლებები გადაცემადი ან დამოუკიდებელი კომპანიის ან სხვა უფლებებისა და მოვალეობებისგან. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ბიზნეს კომბინაციის ფარგლებში

შემენილი არამატერიალური აქტივები ექვემდებარება ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკას, ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად.

2.8. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ყოველწლიურად აფასებს, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მისი სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადის მქონე აქტივებიდან რომელიმე გაუფასურდა. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და იგი ედრება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ უმცირესი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელზეც ეს აქტივია განაწილებული.

2.9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნაღებ დანახარჯებს.

მომცემებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

2.10. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო, მეორე მხრივ, მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის ჯგუფისეულ ბიზნეს-მოდელებზე. იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ ქმედებებს იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს

მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება ტრანზაქციების ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ ქმედებებს მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული ტრანზაქციის ფასით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) ანარიცხს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. მსზ ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, დისკონტირებულს თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებითი მნიშვნელობით.

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს, რომელიც ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები საჭიროებისამებრ კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასახული მოგება-ზარალში, სესხები, კრედიტორული დავალიანები, ან როგორც წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტი. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და ვალდებულებების შემთხვევაში, უშუალოდ მიკუთვნებადი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და კრედიტორულ დავალიანებებს და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

სესხები და ნასესხები სახსრები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტური სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვაზე მიღებული ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი. აღნიშნული კატეგორია გამოიყენება ძირითადად პროცენტური სესხების შემთხვევაში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, გაუქმება ან ამოწურება მოქმედების ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება იგივე გამსესხებლის მიერ ჩანაცვლება მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან მოხდება არსებული ვალდებულებების არსებითი მოდიფიკაცია, მსგავსი ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.11. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო საქმიანობს. ჯგუფის სამუშაო ვალუტა და მისი წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი („ლარი“).

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD / ლ	EUR / ლ
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.81	2.93
საშუალო გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის	2.72	2.94
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.69	2.98
საშუალო გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის	2.63	2.84

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და თვითღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.12. მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ მიღებული წლიური მოგება გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, მოგების გადასახადით არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში განაწილებულ თანხაზე (1/85%*15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. კომპანიის მფლობელებზე გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს ჯგუფის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებების თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. როგორც მე-11

შენიშვნაში არის ნაჩვენები, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,683 ლარს და 3,515 ლარს, შესაბამისად.

დაკავშირებული მხარის ოპერაციები

ჩვეულებრივად, ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ, შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. დაშვების საფუძველს წარმოადგენს მსგავსი ტრანზაქციების ღირებულება არადაკავშირებულ მხარეებთან.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

4. საოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
ამბულატორიული მომსახურება	7,923	12,619
სტაციონალური მომსახურება	17,454	26,544
ინ ვიტრო განაყოფიერება	-	8,886
სხვა შემოსავალი	236	324
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასჩამოკლება	(1,088)	(985)
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	210	271
სულ საოპერაციო შემოსავალი	24,735	47,659

5. საოპერაციო ხარჯები

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს გაწეული მომსახურების თვითღირებულებას და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს მათი ბუნების მიხედვით.

<i>მომსახურების თვითღირებულება</i>	2024	2023
თანამშრომელთა კომპენსაცია	11,799	20,250
გამოყენებული მარაგები (მედიკამენტები და სამედიცინო მასალები)	6,450	11,800
ლაბორატორიული და სხვა სამედიცინო მომსახურება	1,033	2,405
ცვეთა და ამორტიზაცია	905	2,204
კომუნალურები	702	954
სხვა	410	590
სულ მომსახურების თვითღირებულება	21,299	38,203

<i>საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</i>	2024	2023
თანამშრომელთა კომპენსაცია	2,246	3,721
რემონტი და მოვლა-შენარჩუნების ხარჯი	341	466
სხვადასხვა სამეურნეო ხარჯები	310	514
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	168	295
გაყიდვების ხარჯი	149	692
იჯარა	148	313
ცვეთა და ამორტიზაცია	116	168
IT ხარჯები	109	141
საკანცელარიო და საოფისე ხარჯი	81	156
ბანკის საკომისიო	62	223
სხვა	354	591
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4,084	7,280

6. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი ბანკის სესხებზე	726	1,860
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე	-	1
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებულ ვალდებულებაზე	184	31
საპროცენტო შემოსავალი	(53)	(69)
სულ	857	1,823

7. სხვა შემოსავალი და ხარჯი, წმინდა

	2024	2023
სხვა შემოსავალი	13	(37)
31 დეკემბერი	13	(37)

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	მიწა და შენობები	სამედიცინო აღჭურვილობა	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2022	40,394	20,196	2,515	63,105
შემენა	63	2,225	324	2,612
გადაფასების რეზერვი	(1,055)	-	-	(1,055)
გასვლა შვილობილების გაყიდვის გამო	(24,403)	(12,341)	(1,866)	(38,610)
გასვლა	-	(654)	-	(654)
31 დეკემბერი 2023	14,999	9,426	973	25,398
შემენა	-	219	91	310
გადაფასების რეზერვი	1,991	-	-	1,991
ცვეთის ელიმინაცია გადაფასებისას	(326)	-	-	(326)
გასვლა	-	(173)	(4)	(177)
31 დეკემბერი 2024	16,664	9,472	1,060	27,196
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2022	484	14,163	1,922	16,569
პერიოდის ცვეთა	691	1,480	168	2,339
ცვეთის ელიმინაცია გადაფასებისას	(331)	-	-	(331)
გასვლა შვილობილების გაყიდვის გამო	(844)	(8,265)	(1,467)	(10,576)
გასვლა	-	(390)	-	(390)
31 დეკემბერი 2023	-	6,988	623	7,611
პერიოდის ცვეთა	326	566	116	1,008
ცვეთის ელიმინაცია გადაფასებისას	(326)	-	-	(326)
გასვლა	-	(147)	(1)	(148)
31 დეკემბერი 2024	-	7,407	738	8,145
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	14,999	2,438	350	17,787
31 დეკემბერი 2024	16,664	2,065	322	19,051

შენობების შეფასება განხორციელდა შეფასების საერთაშორისო სტანდარტების („IVS“) შესაბამისად დამოუკიდებელი შემფასებლის Colliers International Georgia-ს მიერ.

მშობლის შენობა მდებარეობს თბილისში, დიღომში, ჩაჩავას ქ. № 1. მისი შეფასება მოხდა 2024 წლის 31 დეკემბერს, საბაზრო მეთოდის საფუძველზე.

შენობები რომ ყოფილიყო აღრიცხული თვითღირებულებით, მათი საბალანსო ღირებულება იქნებოდა შემდეგი:

	2024	2023
1 იანვარი	3,801	8,403
შემოსვლა	-	63
პერიოდის ცვეთა	(83)	(214)
გასვლა შვილობილების გაყიდვის გამო	-	(5,171)
31 დეკემბერი	2,998	3,801

ჯგუფის ქონების დიდი ნაწილი დაგირავებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად (შენიშვნა 14).

ცვეთის ხარჯი შედის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

9. ბიზნეს კომბინაციები და გუდვილი

ჯგუფმა აღიარა შემდეგი გუდვილები, რომლებიც წარმოიქმნა წინა საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ბიზნეს კომბინაციების შედეგად:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
შპს „თბილისის დიაგნოსტიკური ცენტრი“	434	434
სულ გუდვილი	434	434

ჯგუფმა ჩაატარა გუდვილის გაუფასურების ტესტი 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუფასურების ღირებულების აღიარების გარეშე.

თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ("CGU") საბალანსო ღირებულება იყო უფრო დაბალი ვიდრე მისი ანაზღაურებადი ღირებულება. CGU-ს ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების დაანგარიშებით. ამ გაანგარიშებებში გამოყენებულია ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზები,

რომლებიც დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში მომზადებულ ფინანსურ პროგნოზებზე.

ფულადი ნაკადები ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში ექსტრაპოლირდება ქვემოთ მოყვანილი სავარაუდო ზრდის ტემპზე დაყრდნობით. ზრდის ტემპი არ აღემატება ეკონომიკის ბიზნეს სექტორის გრძელვადიანი საშუალო ზრდის ტემპს, რომელშიც მუშაობს CGU.

გამოყენების ღირებულების გამოთვლებისთვის გამოყენებული დაშვებები, რომელთა ანაზღაურებადი თანხაც ყველაზე მგრძნობიარეა, იყო:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
გაყიდვების წლიური ზრდა	3% წელიწადში	3% წელიწადში
ზრდის ტემპი ხუთი წლის განმავლობაში	3% წელიწადში	3% წელიწადში
დისკონტირების განაკვეთი	14.35% წელიწადში	15.35% წელიწადში

შპს „თბილისის დიაგნოსტიკური ცენტრი“

2016 წლის 26 დეკემბერს ჯგუფმა შეიძინა შპს „თბილისის სადიაგნოსტიკო ცენტრის“ კაპიტალის კიდევ 45%, რის შედეგადაც მისმა წილმა შეადგინა 90%. ამრიგად, ერთეულმა შეწყვიტა ასოცირებული ურთიერთობა და გახდა შვილობილი.

გუდვილი გამოითვალა შემდეგნაირად:

გადახდილი თანხა:	588
არამაკონტროლირებადი წილი (10%)	34
ჯგუფის შეძენამდე ფლობილი კაპიტალის წილის რეალური ღირებულება	154
მინუს: შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება	(342)
სულ გუდვილი	434

შეძენილი საწარმოსა და ჯგუფის გაერთიანებული ოპერაციებიდან მოსალოდნელი სინერგიული ეფექტები განაპირობებს გუდვილის აღიარებას.

ჯგუფმა ჩაატარა გუდვილის გაუფასურების ტესტი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუფასურების ღირებულების აღიარების გარეშე. თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ("CGU") საბალანსო

ღირებულება იყო უფრო დაბალი ვიდრე მისი ანაზღაურებადი ღირებულება. CGU-ს ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების დაანგარიშებით. ამ გაანგარიშებებში გამოყენებულია ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზები, რომლებიც დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში მომზადებულ ფინანსურ პროგნოზებზე. ფულადი ნაკადები ეყრდნობა ჯგუფის წარსულ გამოცდილებას. პროექტის IRR არის უფრო მეტი ვიდრე ჯგუფის კაპიტალის ღირებულება.

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
მედიკამენტები და სამედიცინო მასალები	1,296	1,281
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,296	1,281

სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ არის დაგირავებული ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
მოთხოვნები “სოციალური მომსახურების სააგენტოსგან”	3,497	3,798
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისგან	878	910
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	1,119	820
მოთხოვნები კლინიკებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან	1,227	840
მოთხოვნები ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისგან	241	179
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	3,087	2,954
გაუფასურების რეზერვი	(3,683)	(3,515)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	6,366	5,986
გადახდილი ავანსები	167	98
სხვა მიმდინარე აქტივები	9	8
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,542	6,092

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა არის არსებითი.

“ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო” (“NHA”) არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებაზე. NHA იხდის დავალიანებას კომპანიის მიმართ მისი წარმოქმნიდან დაახლოებით 4 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაშლა სავალუტო რისკების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 15-ში.

პერიოდის განმავლობაში გაუფასურების რეზერვის ცვლილება მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

1 იანვარი 2023	4,628
პერიოდის რეზერვის ხარჯი	295
რეზერვის ჩამოწერა	(1,407)
31 დეკემბერი 2023	3,515
პერიოდის რეზერვის ხარჯი	168
31 დეკემბერი 2024	3,683

მოკლევადიანი სესხები დაკავშირებულ მხარეებზე

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხები შემდეგი იყო:

	ვადიანობა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები 2025 გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი		15.00%	1,902	46
წმინდა თანხა			1,902	46

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
გაცემული სესხები		
მოკლევადიანი სესხები	1,902	46
გრძელვადიანი სესხები	-	-

გაცემული სესხები არ არის უზრუნველყოფილი, სესხებზე პროცენტის და ძირითადის გადახდა განხორციელდება ვადის გასვლისას.

დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები მოიცავს შპს „ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი“ (358), შპს „ვივო მედიკალ გრუპის“ (1,529) და შპს „ჰოსპიტალ დილომის“ (15) სესხებს, რომელთაგან შპს „ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრის“ სესხი სრულად დაიფარა 2025 წელს.

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით	31-დეკ-24	31-დეკ-23
ლარი	64	129
ევრო	3	2
აშშ დოლარი	8	1
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები:	75	132

ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკების მიხედვით	31-დეკ-24	31-დეკ-23
ფულადი სახსრები სალაროში	23	15
ფულადი სახსრები სს „ბაზის ბანკში“	36	47
ფულადი სახსრები სს „საქართველოს ბანკში“	2	8
ფულადი სახსრები სს „თიბისი ბანკში“	14	62
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები:	75	132

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-Dec-24	31-Dec-23
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	2,500	835
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	732	505
გადასახდელი ხელფასები	1,635	1,637
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	127	104
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1	1
მიღებული ავანსები	473	283
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:	5,468	3,365

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი.

შეფერხება (დაახლოებით 3 თვე) სახელფასო დავალიანების გასტუმრებაში წარმოიქმნა წინა პერიოდებში, NHA-ის მიერ დავალიანების დაგვიანებით დაფარვის გამო (შენიშვნა 11).

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გაშლა სავალუტო რისკების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 15-ში.

14. მიღებული სესხები

31 დეკემბერი 2024						
კრედიტორი	დასახელება	ვალუტა	ვადა (წლები)	პროცენტი	გრძელვადიანი სესხი	მოკლევადიანი სესხი
კომერციული ბანკი	კრედიტი	ლარი	(10-15)	11%	3,863	267
კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	ლარი	(5-10)	13%	-	2,100
დაკავშირებული მხარეები	კრედიტი	ლარი	(0-1)	15%	-	2,551
					3,863	4,918

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2023

კრედიტორი	დასახელება	ვალუტა	ვადა (წლები)	პროცენტი	გრძელვადიანი სესხი	მოკლევადიანი სესხი
კომერციული ბანკი	კრედიტი	ლარი	(5-10)	12.50%	3,936	620
კომერციული ბანკი	კრედიტი	ლარი	(0-1)	12.5%	-	189
კომერციული ბანკი	საკრედიტო ხაზი	ლარი	(0-1)	13%	-	1,845
დაკავშირებული მხარეები	კრედიტი	ლარი	(0-1)	15.00%	-	842
					3,936	3,496

სესხებისა და იჯარების მოძრაობა:

	სესხები		იჯარა	
	2024	2023	2024	2023
1 იანვარი	7,243	15,989	-	22
ძირი თანხის დამატება	18,748	17,948	-	-
დარიცხული პროცენტი	900	1,891	-	-
გადახდილი ძირი თანხა	(17,313)	(17,540)	-	(21)
გადახდილი პროცენტი	(797)	(1,847)	-	-
გასვლა შვილობილების გაყიდვის გამო	-	(9,836)	-	-
აღიარება შვილობილების გაყიდვის გამო	-	827	-	-
საკუროს სხვაობის კორექტირება	-	-	-	(1)
31 დეკემბერი	8,781	7,432	-	-

ბანკიდან აღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით.

მიღებული სესხების და სალიზინგო ვალდებულებების მიზნობრიობას წარმოადგენს ბიზნეს პროცესების დაფინანსება, კერძოდ, ძირითადი საშუალებების შეძენა და ინვესტიციის განხორციელება შვილობილ საწარმოებში. საკრედიტო ხაზების მიზნობრიობა არის მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის დაფინანსება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა სესხი არის სს „ბაზის ბანკიდან“ და ნომინირებულია ლარში.

15. ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განხორციელებისას ჯგუფს გააჩნია შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა იმისა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- ლიკვიდობის რისკი: რისკი იმისა, რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკები: რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, ჯგუფი იყენებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და ფასების რისკების მინიმუმამდე შემცირება ყველა სახის ტრანზაქციისათვის;
- “შუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალურად გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-24	31-დეკ-23
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,366	5,986
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებულ მხარეებს	1,902	46
ფული და ფულის ეკვივალენტები	75	132
	8,343	6,164

ფინანსური ვალდებულებები	31-დეკ-24	31-დეკ-23
სესხები	8,781	7,432
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,994	3,081
	13,775	10,513

საკრედიტო რისკი

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა. ჯგუფის ყველაზე დიდი დებიტორია საქართველოს მთავრობა წარმოდგენილი “ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს” (“NHA”) (შენიშვნა 11) სახით. NHA იხდის დავალიანებას ჯგუფის მიმართ მისი წარმოშობიდან დაახლოებით 4 თვის განმავლობაში.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში.

	31-დეკ-24	31-დეკ-23
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,366	5,986
ფულადი სახსრები ბანკში	52	117
	6,418	6,103

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ჯგუფი მართავს ლიკვიდობის რისკს, დაფარვის მოსალოდნელი ვადებიდან გამომდინარე.

შემდეგ ცხრილებში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო დასაფარი ვადებით (სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები):

სავაჭრო მოთხოვნები	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-5 წელი	5 + წელი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	2,011	2,948	1,407	-	-	6,366
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,011	2,948	1,407	-	-	6,366

სავაჭრო მოთხოვნები	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-5 წელი	5 + წელი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	1,832	2,819	1,335	-	-	5,986
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,832	2,819	1,335	-	-	5,986

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-5 წელი	5 + წელი	სულ
სესხები	71	117	2,626	2,807	3,207	8,828
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,138	932	1,162	-	-	3,232
გადასახდელი ხელფასები	981	654	0	-	-	1,635
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,190	1,703	3,788	2,807	3,207	13,695

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-5 წელი	5 + წელი	სულ
სესხები	197	224	3,629	4,477	763	9,290
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	731	315	294	-	-	1,340
გადასახდელი ხელფასები	982	655	-	-	-	1,637
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,910	1,194	3,923	4,477	763	12,267

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ჯგუფს ძირითადად აქვს დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 13). ამჟამად ჯგუფი თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში, ამისთვის ჯგუფი ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად ეხება საბანკო სესხებს (შენიშვნა 14). ბანკი იტოვებს უფლებას, გაზარდოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, მითითებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში, თუ საბაზრო განაკვეთები გაიზრდება. მენეჯმენტი არ ელოდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებით ცვლილებას.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. ჯგუფს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით შემდეგნაირია:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,328	38	-	6,366
ფული და ფულის ეკვივალენტები	64	8	3	75
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,392	46	3	6,441

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	8,781	-	-	8,781
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,960	34	-	4,994
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,741	34	-	13,775

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,981	5	-	5,986
ფული და ფულის ეკვივალენტები	129	1	2	132
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,110	6	2	6,118

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	7,432	-	-	7,432
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,065	5	11	3,081
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,497	5	11	10,513

სენსიტიურობის ანალიზი

ლარის გაცვლითი კურსის 20%-იანი გმაყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის 2024 წლის მოგებას 2 ლარით (2023: 0 ლარით).

16. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ტრანზაქციების მოცულობა და ნაშთები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

ტრანზაქციების ოდენობა:	2024	2023
გაყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებულ საწარმოებზე	1,879	1,655
შესყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოებისგან	5,172	9,332
შეწყიდვები ერთობლივი საწარმოსგან	203	178
მიღებული დივიდენდი ერთობლივი საწარმოდან	-	186
საკვანძო მენეჯმენტის ანაზღაურება	293	302
ნაშთები	31-დეკ-24	31-დეკ-23
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
ჯგუფის მშობელი	-	27
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	1,119	860
გაცემული მოკლევადიანი სესხები		
ჯგუფის მშობელი	1,529	31
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	358	631
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	2,307	837
ჯგუფის მშობელი	-	2
ერთობლივი საწარმო	192	137
სესხები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	2,552	-

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2025 წლის ივნისში ჯგუფმა სს „ბაზის ბანკისგან“ აიღო სესხი 500 ლარის ოდენობით, აქედან 163 ლარია ათვისებული ხელმოწერის დღისთვის. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 15,4%-ს. სესხის ვალუტა ლარი.

2025 წელს ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღამდე პერიოდზე შვილობილმა არამაკონტროლებელ წილზე გასცა დივიდენდი ჯამში 200 ლარის ოდენობით.

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

ორგანიზაციის ბიზნეს-განვითარება, ფინანსური მაჩვენებლები და მდგომარეობა

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” და მისი შვილობილი კომპანიები (ერთობლივად მოიხსენიება როგორც „ჯგუფი“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ფართო სპექტრის სტაციონარული და ამბოლატორიული სამედიცინო მომსახურების გაწევას.

ჯგუფის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, დიღომში, ჩაჩავას ქუჩა, #1.
ჯგუფის მფლობელია შპს „ვივო მედიკალ გრუპი“, რომლის მფლობელებიც არიან:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
შპს პაშა ინვესტმენტი (აზერბაიჯანი)	0%	45.00%
შპს ვივო კაპიტალი	45%	0%
გიორგი ყიფიანი	13.75%	13.75%
ივანე მარტიაშვილი	13.75%	13.75%
მიხეილ გუგუბერიძე	13.75%	13.75%
დავით ფანჯაკიძე	13.75%	13.75%
	100.00%	100.00%

2024 წლის 22 აგვისტოს, პაშა ინვესტმენტმა შპს ვივო მედიკალ გრუპში თავისი 45%-იანი წილი შპს ვივო კაპიტალზე გაყიდა. აღნიშნულმა ტრანზაქციამ შპს ვივო მედიკალის ჯგუფის საკუთრების სტრუქტურაში ცვლილებამ გამოიწვია. შპს ვივო კაპიტალის აქციონერები არიან იგივე ოთხი ფიზიკური პირი, რომლებიც ფლობენ კომპანიის აქციებს, რომელთაგან თითოეულს ჯამში შპს ვივო მედიკალის ჯგუფში 25%-იანი წილი უჭირავს.

ჯგუფის კაპიტალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობის შესაბამისად შეადგენს 10,866 ათას და 10,866 ათას ლარს.
31 დეკემბრით დასრულებული 2024 და 2023 წლებისთვის ჯგუფის შემოსავალი შეადგენს შესაბამისად 24,735 ათას და 47,659 ათას ლარს.

ჯგუფის სტრატეგია:

- ჯგუფი გეგმავს საქართველოში არსებული ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე წამყვანი კომპანიების რიგში შესვლას მომხმარებლებისა და მომსახურე პერსონალის მუდმივი პრიორიტეტულობის გზით.
- მომხმარებლებისთვის უმაღლესი ხარისხის მომსახურების გაწევას.
- ახალი მიმართულებების და შესაძლებლობების დანერგვაში წამყვანი პოზიცია

საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფი არის წამყვანი მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი საქართველოში და განთავსებულია საქართველოში, თბილისში.

ჯგუფის შვილობილი კომპანიებია:

დასახელება	მფლობელობა		საქმიანობა
	2024	2023	
შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“	50%	50%	ლაბორატორია
შპს „თბილისის დიაგნოსტიკური ცენტრი“	100%	100%	დიაგნოსტიკა

თბილისის ცენტრალური საავადმყოფო არის ყოფილი რკინიგზის საავადმყოფო, რომელიც 70-იან წლებში წამყვან კლინიკას წარმოადგენდა და მისი პრივატიზაცია მოხდა 2012 წელს. საავადმყოფო განთავსებულია თბილისში, დიღომში, 9-სართულიანი შენობის 3 სართულზე. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მიერ აღიარებულია, როგორც „რეფერალური საავადმყოფო“ (უმაღლესი კატეგორია).

თბილისის ცენტრალური საავადმყოფო წამყვანი მრავალპროფილური ცენტრია, სადაც თითქმის ყველა სახის გადაუდებელი და დაგეგმილი სამედიცინო მკურნალობა ხორციელდება. ძირითადი მიმართულებებია: ნეიროქირურგია და ნევროლოგია, ზოგადი ქირურგია, ოთოპედია და ტრავმატოლოგია, გინეკოლოგია, ოფთალმოლოგია, ბარიატრიული ქირურგია, კოლორექტალური ქირურგია, პლასტიკური ქირურგია,

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

გულმკერდის ქირურგია, ოტორინოლარინგოლოგია, სასწრაფო დახმარება, ინტენსიური და თერაპიული მკურნალობა, ამბულატორიული მკურნალობა. იგი ინტენსიური თერაპიის (IC) პაციენტებს სთავაზობს უნიკალურ IC მკურნალობას ბოქსირებული პალატებში, რითაც ამცირებს ინტრა-ჰოსპიტალური ინფექციის განვითარების ალბათობას. მისი მაღალგანვითარებული გადაუდებელი დახმარების განყოფილება თბილისის უმსხვილეს რაიონებს ემსახურება.

თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში ფუნქციონირებს 7 საოპერაციო ბლოკი და 120 საწოლი: 9 ინტენსიური თერაპიის განყოფილება (ICU) და 111 სტაციონარული საწოლი. იგი ყოველთვიურად საშუალოდ ემსახურება 1,161 სტაციონარულ და 1,838 ამბულატორიულ პაციენტს და ჰყავს 584 თანამშრომელი.

თბილისის ცენტრალური საავადმყოფო უზრუნველყოფს სრული სპექტრის კლინიკური და დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარებას, როგორებიცაა: კომპიუტერული ტომოგრაფია, რაგიოგრაფია, ულტრაბგერითი, კოლპოსკოპია, ენდოსკოპია და სხვ. კლინიკა სრულადაა აღჭურვილი თანამედროვე დანადგარებით.

თბილისის დიაგნოსტიკურმა ცენტრმა 2024 წელს ძირითადი აქტივები მიიყიდა მშობელ კომპანიას და შედეგად შეწყვიტა საოპერაციო საქმიანობა.

თბილისის ცენტრალური ლაბორატორია პაციენტებს სთავაზობს თითქმის ყველა სახის სამედიცინო გამოკვლევას, მათ შორის: იმუნოჰემატოლოგიურ, ბიოქიმიურ, ბაქტერიულ, ჰემოსტაზურ და კოაგულაციურ, მიკრობიოლოგიურ და სხვა სახის კვლევებს. ლაბორატორია ყოველ თვეში ატარებს 15,000 ტესტზე მეტს. იგი ჩართულია RfB გარე ხარისხის კონტროლის სისტემაში: ბიოანალიზის რეფერენს-ინსტიტუტი ორ გამოცდილ გერმანულ კვლევით ორგანიზაციას შორის ერთ-ერთია, რომელსაც გერმანიის სამედიცინო ასოციაციის მიერ ოფიციალურად აქვს მინიჭებული გარე ხარისხის კონტროლის ჩატარების უფლება. იგი ემსახურება როგორც „ვივო მედიკალ ჯგუფში“ შემავალ კომპანიებს, ისე სხვა მრავალ საავადმყოფოსა და კლინიკას თბილისში.

ორგანიზაციის სამომავლო განვითარების გეგმები

ბაზარზე არსებული რყევებისა და ცვალებადობის მიუხედავად, ჯგუფი კვლავ ინარჩუნებს თავის საშუალო და გრძელვადიან სტრატეგიებს. ესენია:

- ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა შვილობილ კომპანიებში
- სამედიცინო ინფრასტრუქტურის თანამედროვე ტექნოლოგიებით მოდერნიზება ფინანსური ეფექტიანობის შენარჩუნების ფონზე, საქართველოს ჯანდაცვის სფეროში არსებული რეალობის გათვალისწინებით.
- პერსონალის (როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო) განათლებასა და პროფესიულ განვითარებაში მუდმივი ინვესტირება
- ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურებების დანერგვა

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მრავალი ცვლილება განხორციელდა „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის“ დაფინანსების კუთხით. აღნიშნული ცვლილებები ძირითადად მოიცავდა პროგრამის მხრიდან დაფინანსების განაკვეთების შემცირებას. ამ ცვლილებებმა ჯანდაცვის სექტორზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, რამდენადაც სამედიცინო მომსახურების მრავალი მიმწოდებლისთვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის წილი მთლიან შემოსავალში 80%-ზე მეტს შეადგენს. ჩვენი ჯგუფის სტრატეგია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მიმართული იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების წილის შემცირებისკენ მთლიან შემოსავლებთან მიმართებით. ეს მიღწეულ იქნა უფრო თანამედროვე მომსახურებების დანერგვითა და საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე ცნობილი პროფესიონალების ქართველი საზოგადოებისთვის გაცნობით. აღნიშნულმა სტრატეგიამ გაამართლა, ვინაიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებმა გაცილებით ნაკლები უარყოფითი გავლენა მოახდინა ჯგუფზე მთელ ჯანდაცვის სფეროსთან შედარებით. ჩვენ მომდევნო წლებშიც ვაპირებთ ამ სტრატეგიის შენარჩუნებას.

ჯგუფი ახლო მომავალში აპირებს საქმიანობის გაფართოებას ამბულატორიული მიმსართულებით. ეს უფრო ხელმისაწვდომს გახდის პირველად სამედიცინო მომსახურებას. ჩვენი სტრატეგიის შესაბამისად, ამგვარი მომსახურების დანერგვას ვგეგმავთ ცნობადი და პროფესიონალი ქართველი სპეციალისტების დახმარებით.

2025 წელს ჯგუფი გეგმავს რამდენიმე პროექტის განხორციელებას. მათ შორის:

- ინვესტიციების განხორციელება თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობაში უფრო მაღალი ხარისხის მომსახურებების უზრუნველსაყოფად
- მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო კადრების დაქირავება

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

ჯგუფს კვლევისა და განვითარების კუთხით პროექტები არ განუხორციელებია

ინფორმაცია ორგანიზაციის ფილიალებზე

ჯგუფი იურიდიულად არ ფლობს ფილიალებს.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ

ჯგუფის მიერ 2024 წელს არ განხორციელებულა საკუთარი აქციების შესყიდვა.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მოიცავს შემდეგს:

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მოიცავს შემდეგს:

		2024	2023
1	შემოსავალი	24,735	47,659
2	მთლიანი მოგება	3,436	9,456
3	წმინდა (ზარალი)/მოგება	(1,495)	(12,106)
4	მთლიანი მოგების მარჟა	14%	20%
35	წმინდა მოგების მარჟა	(6%)	(25%)

სხვა არსებითი მაჩვენებლები მოიცავს შემდეგს:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის პერსონალი შედგებოდა 628 პირისგან, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბერს - 649 პირისგან. შრომის ანაზღაურების ხარჯები ყოველთვიურად ცვალებადია სამედიცინო პერსონალის ანაზღაურების სისტემის მახასიათებლებიდან გამომდინარე. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საშუალო თვიურმა სახელფასო ხარჯებმა შესაბამისად შეადგინა -1,170 ათასი და 1,998 ათასი ლარი.

ჯგუფი მომხმარებელს მრავალ სხვადასხვა ტიპის მომსახურებას სთავაზობს. მათ შორის: 650 განსხვავებული სახის ამბულატორიული, 1,600 სახის სტაციონარული და 380 ლაბორატორიული სახის მომსახურება.

მიღებული პაციენტების რაოდენობა:

	მომსახურება	2024	2023
1	ამბულატორიული	22,100	40,400
2	სტაციონარული	14,000	14,000
3	ხელოვნური განაყოფიერება	0	4,700
4	ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური	25,900	27,200

ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკი და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობის გზით. ჯგუფის გაყიდვების უდიდესი წილი მოდის საკრედიტო პირობით გაყიდვებზე. გარდა ჯგუფის შიდა ტრანზაქციებისა, მის ყველაზე მსხვილ დებიტორს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სახით. ამ უკანასკნელის საკრედიტო პირობებს განსაზღვრავს მთავრობა და იგი შეადგენს დაახლოებით 4 თვეს. რაც შეეხება დანარჩენ კონტრაგენტებს, საკრედიტო ვადა მათთვის 30-დან 90 დღემდეა. ჯგუფს აქვს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების გარკვეული ოდენობა, რომელიც რეზერვდება ჯგუფის დებიტორული დავალიანებების რეზერვირების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან დაკავშირებული საკრედიტო ვადაც 30-დან 90 დღემდე მერყეობს უმხსვილეს კონტრაგენტებთან. თუმცა, ჯგუფს აქვს 6 თვიანი საკრედიტო ვადის მქონე ვალდებულებები კერძო მოლაპარაკებების შესაბამისად. ამჟამად მოსალოდნელია ყველა ვალდებულების ვადაში დაფარვა. ამისათვის საჭირო საკმარისი ფულის მიღება მოსალოდნელია საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების შემოდიანებით. საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი მოლაპარაკებებს აწარმოებს მომწოდებლებთან გადახდის თარიღის გადასვადებლად და ბანკებთან მოკლევადიანი სესხის ასაღებად.

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა
ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები უკავშირდება შემდეგს:

	რისკები და განუსაზღვრელობები	მენეჯმენტის რეაგირება
1	სავალუტო რისკი - შესყიდვების ძირითადი ნაწილი ადგილობრივ ვალუტაშია განხორციელებული, თუმცა გაყიდვების მცირე ოდენობა - უცხოურ ვალუტაში. არსებობს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების შემცირების რისკი	ჯგუფს არ აქვს ოფიციალური პროცედურა სავალუტო რისკების მართვასთან დაკავშირებით, თუმცა მენეჯმენტი თვლის რომ ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებთან დაკავშირებით კარგად ინფორმირებულია და ყველა ზომას იღებს სავალუტო რისკების შესამცირებლად.
2	საკრედიტო რისკი – არსებობს ალბათობა იმისა, რომ დებიტორი სრულად ან ნაწილობრივ არ დაფარავს დავალიანებას, ან არ დაფარავს დროულად. შესაბამისად ეს ჯგუფისთვის წარმოქმნის ზარალს ან სხვა ლიკვიდურობის პრობლემებს.	„ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებით.
3	პოლიტიკური რისკი - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე, შესაბამისად, შემოსავალსა და ლიკვიდურობაზეც.	მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვლილებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
4	რეგულირების რისკი - ჯანდაცვის სექტორი ექვემდებარება სამთავრობო რეგულაციებს	მდგრადი ბიზნეს მოდელის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ზრდასა და რეგულაციურ ცვლილებებთან შესაბამისობას.

დირექტორი

ირაკლი ფაჩუაშვილი

“თბილისის ცენტრალური საავადმყოფო” ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა
 ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები უკავშირდება შემდეგს:

	რისკები და განუსაზღვრელობები	მენეჯმენტის რეაგირება
1	სავალუტო რისკი - შესყიდვების ძირითადი ნაწილი ადგილობრივ ვალუტაშია განხორციელებული, თუმცა გაყიდვების მცირე ოდენობა - უცხოურ ვალუტაში. არსებობს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების შემცირების რისკი	ჯგუფს არ აქვს ოფიციალური პროცედურა სავალუტო რისკების მართვასთან დაკავშირებით, თუმცა მენეჯმენტი თვლის რომ ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებთან დაკავშირებით კარგად ინფორმირებულია და ყველა ზომას იღებს სავალუტო რისკების შესამცირებლად.
2	საკრედიტო რისკი – არსებობს ალბათობა იმისა, რომ დებიტორი სრულად ან ნაწილობრივ არ დაფარავს დავალიანებას, ან არ დაფარავს დროულად. შესაბამისად ეს ჯგუფისთვის წარმოქმნის ზარალს ან სხვა ლიკვიდურობის პრობლემებს.	„ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებით.
3	პოლიტიკური რისკი - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე, შესაბამისად, შემოსავალსა და ლიკვიდურობაზეც.	მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვლილებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
4	რეგულირების რისკი - ჯანდაცვის სექტორი ექვემდებარება სამთავრობო რეგულაციებს	მდგრადი ბიზნეს მოდელის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ზრდასა და რეგულაციურ ცვლილებებთან შესაბამისობას.

დირექტორი

ირაკლი ფაჩუაშვილი